



მათემატიკა - X – XI კლასები

მონაწილის გვარი, სახელი, ტელეფონი \_\_\_\_\_

სკოლა, კლასი \_\_\_\_\_


თანაგუნდელის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

მასწავლებლის გვარი, სახელი \_\_\_\_\_

ა მ ო ც ა ნ ე ბ ი


- 1) დაამტკიცეთ, რომ უსასრულოა იმ მარტივ რიცხვთა სიმრავლე, რომელთა 4-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი 3-ის ტოლია,
- 2) დაამტკიცეთ, რომ თუ რაიმე ორი რიცხვის ჯამია 30030, მაშინ ამ რიცხვთა ნამრავლი არ გაიყოფა 30030-ზე.

3) შეიძლება თუ არა აქ მონიშნული რაიმე წერტილიდან (ისინი მონიშნულია რიცხვებით 1-დან 10-ის ჩათვლით) შემოვიაროთ ყველა წერტილი მითითებული მონაკვეთების გასწვრივ გადაადგილებით და დავბრუნდეთ საწყის წერტილში ისე, რომ არცერთ წერტილზე ორჯერ არ გავიაროთ.



- 4) დაამტკიცეთ, რომ თუ რაიმე წრფე წრეწირზე შემოხაზულ ნებისმიერ მრავალკუთხედს ყოფს ორ მრავალკუთხედად, რომელთა პერიმეტრები ტოლია და ფართობები ტოლია, მაშინ ეს წრფე გადის წრეწირის ცენტრზე.
- 5) ტოლფერდა ტრაპეციის შიგნით ნებისმიერად შერჩეული წერტილი შეერთებულია ტრაპეციის ოთხივე წვეროსთან მონაკვეთებით. აჩვენეთ რომ ამ მონაკვეთებით შეიძლება აიგოს ისეთი ოთხკუთხედი რომლის თითოეული წვერო განლაგდება მოცემული ტრაპეციის თითო გვერდზე.

6) მარცხენა სურათზე გამოსახულია კუბიდან გარკვეული ნაწილის ამოჭრის შემდეგ კუბში დარჩენილი ნაწილი, მეორე სურათზე წარმოადგინეთ კუბიდან ამოჭრილი ნაწილი.



გისურვებთ წარმატებას !